საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

შემოწმების აქტი № 0 0 2 7 1 8 / შ

შედგენის თარიღი: „25“ „მარტი“ 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 09 ნოემბრის №002718 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002718/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მეორე კატეგორიის მთავარ სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორების) - [redacted] მიერ, **2022 წლის 28 იანვარს** განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ობიექტის დასახელება: შპს „არქიმედეს კლინიკა''
საიდენტიფიკაციო კოდი: 404869567;
დირექტორი: ნინო აკობიძე
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №34
ფაქტობრივი მისამართი: ქ. ლაგოდეხი, 9 აპრილის ქ. N48

შპს „არქიმედეს კლინიკის“ მიმართ 2021 წლის 10 ნოემბერს გაიცა №002718 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002718/ო მითითება, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საწარმოს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღე მითითების გამოსასწორებლად.
შპს „არქიმედეს კლინიკის“ 2021 წლის 10 ნოემბრის **№002718** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასზე თანდართული **№002718/ო** მითითება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა 2021 წლის 16 ნოემბერს.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ არსებითად შესწავლილ იქნა სამართალდარღვევის ოქმითა და მასზე თანდართული მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხი. კერძოდ:

პირველი მითითების თანახმად, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომითი ხელშეკრულებებით ყველა თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების ვადა შეადგენდა 1 (ერთ) წელს, ხოლო ამ ვადის გასვლისთანავე შრომითი ხელშეკრულება წყდებოდა. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის დარღვევა. განმეორებითი ინსპექტირების(რეინსპექტირების) ფარგლებში კლინიკის მიერ წარმოდგენილია 2022 წლის 01 იანვრის შეთანხმებები. აღნიშნული შეთანხმებით განისაზღვრა, რომ „წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ".

მეორე მითითების თანახმად, კლინიკის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა სამუშაო და დასვენების დრო. დამსაქმებელს დაევალა შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოეყვანა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან და მასში აესახა სამუშაო და დასვენებისა დრო. განმეორებითი ინსპექტირების(რეინსპექტირების) ფარგლებში კლინიკის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებს ერთვის შეთანხმება, რომლის თანახმად განისაზვრა დასაქმებულის სამუშაო დრო და დასვენების დრო სხვადასხვა პოზიციის თანამშრომელთან განსხვავებულად.

მესამე მითითების თანახმად, დამსაქმებელს დაევალა ზუსტად განესაზღვრა სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ პირთა სამუშაოს სახე ან აღწერილობა შრომით ხელშეკრულებებში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო აღწერილობა ცალკე დოკუმენტებით განისაზღვრებოდა, დასაქმებულებს მასზე ცალკე ხელმოწერით დაედასტურებინათ მისი გაცნობა. განმეორებითი ინსპექტირების(რეინსპექტირების) ფარგლებში კლინიკის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებს ერთვის დანართი N1, რომელშიც მოცემულია დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები.

მეოთხე მითითების თანახმად, ინსპექტირებისას დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ არსებობდა ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ. შესაბამისად კომპანიის მიმართ დადგინა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის დარღვევა. აღნიშნული მითითებით დამსაქმებელი ვალდებული იყო ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურების წესი, როგორც

არსებითი პირობა, განესაზღვრა შრომით ხელშეკრულებებში. განმეორებითი ინსპექტირების(რეინსპექტირების) ფარგლებში კლინიკის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებით განისაზღვრა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, კერძოდ ზეგანაკვეთური სამუშაო შესაძლებელია ანაზღაურდეს საათობრივი განაკვეთის 1.2%-ის ოდენობით ან მხარეთა შეთანხმებით დამატებითი დასვენების დროით.

მეხუთე მითითების თანახმად, ინსპექტირებისას დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომითი ხელშეკრულებები არ შეიცავდა ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობის, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობისა და ამ შვებულების მიცემის წესის შესახებ. რეინსპექტირების ფარგლებში კლინიკის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებით განისაზღვრა, რომ დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით. ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში 15 კალენდარული დღით.

მეექვსე მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლი, კერძოდ, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების 4.4.10 პუნქტის თანახმად „დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ასევე დასაქმებულის ბრალით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში აუნაზრაუროს დამსაქმებელს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამსაქმებლის ხარჯით ჩატარებულ ლექცია-სემინარებში, ტრენინგებში, გამოცდებსა (ტესტირებებსა) და სწავლებებში მისი მონაწილეობისათვის დამსაქმებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯი სრულად“. რეინსპექტირების დროს, დამსაქმებლის მხრიდან წარმოდგენილია შეთანხმებები, რომლის მე-3 პუნქტით ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნა 4.4.10 პუნქტი სრულად.

მეშვიდე მითითების თანახმად, კომპანიის მხრიდან დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი. დასაქმებულთა ნაწილი მუშაობდა 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში, რაც არღვევდა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს. კომპანიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმები, რომლის თანახმად დასაქმებულებს აქვთ სამუშაო დღეებს/ცვლებს შრომის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არანაკლებ 12 საათი.

მერვე მითითების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებული იყო მოეხდინა დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. კლინიკის მიერ რეინსპექტირებისას წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმები სრულად შეესაბამება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებას.

მეცხრე მითითების თანახმად, კომპანიის მხრიდან დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი'' 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი. დამსაქმებელი ვალდებული იყო მოეხდინა დასაქმებულისთვის ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით ან პროპორციული დამატებითი დასვენების დროით. დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია დასაქმებულთა პოზიციები სხვასხვა განყოფილებაში, მათ აქვთ განსხვავებული სამუშაო დრო და ანაზღაურება. შესაბამისად, მათი სამუშაო დრო იწარმოება ცალ-ცალკე და ანაზღაურდება შესაბამისად.

მეათე მითითების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებული იყო შეეცვალა ინფექციონისტის მიმართ ანაზღაურებს გაცემის წესი და შესაბამისობაში მოიყვანოს მთავრობის დადგენილებასთან. შესაბამისად, კლინიკას დაუდგინა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 41-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დარღვევა. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ექიმი ინფექციონისტის ხელშეკრულება მისი სამუშაო დრო და საგადახდო დავალებები, რომლის თანახმად, მისი ანაზღაურება შეესაბამება მთავრობის დადგენილებას.

მეთერთმეტე მითითების თანახმად, კლინიკის მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულებისთვის შრომის ანაზღაურების გადახდა ხდებოდა დაახლოებით 1 თვისა და 10 დღის დაგვიანებებით. აღნიშნული მითითებით კომპანია ვალდებული იყო შრომის ანაზღაურება გასცეს დროულად, არანაკლებ თვეში ერთხელ და გაეცა ანაზღაურების დაყოვნებისათვის ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის ოდენობით. კლინიკის მიერ წარმოდგენილ იქნა საგადახდო დავალებები და უწყისები, რომლითაც დასტურდება რომ კლინიკამ ყველა დასაქმებულის მიმართ გასცა შრომის ანაზღაურების დაგვიანებისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 %.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის შესწავლის, დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრების, შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, 2021 წლის 10 ნოემბრის **№002718**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული **№002718/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის საბოლოო შედეგები შემდეგნაირია:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი** თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.	**მითითება შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: სამუშაო დრო და დასვენების დრო;	**მითითება შესრულდა**

3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;	**მითითება შესრულდა**
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;	**მითითება შესრულდა**
5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;	**მითითება შესრულდა**
6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი” 22-ე მუხლი** 1. დამსაქმებელი ხელს უწყობს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლებას. 2. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება, თუ ეს აუცილებელია მის მიერ	**მითითება შესრულდა**

	შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად და დამსაქმებლისთვის არაპროპორციულ ხარჯებს არ წარმოშობს. 3. თუ პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა სასწავლო კურსში დასაქმებულის მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი, ამ კურსში დასაქმებულის მონაწილეობა სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.	
7.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი** სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. მიმდევრობით ორ ცვლაში მუშაობა აკრძალულია.	**მითითება შესრულდა**
8.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.	**მითითება არ შესრულდა**

9.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი** ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.	**მითითება შესრულდა**
10.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 41-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები** შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.	**მითითება შესრულდა**
11.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები** 3.შრომის ანაზღაურება გაიცემა არანაკლებ თვეში ერთხელ. 4. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. ეს წესი არ ვრცელდება ამ კანონის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.	**მითითება შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

_____

_____

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

_____

_____

_____

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

_[redacted]

_[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი:

_____

_____